სოციალური პოლიტიკა პარტიების წინასაარჩევნო ხედვებში - 2020

EMC

I. შრომითი უფლებები

ძირითადი გამოწვევები:

- მიუხედავად მიმდინარე წელს შრომის კანონმდებლობაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, აღნიშნული კანონმდებლობა დღემდე არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან შრომით გარანტიებს;
- სერიოზულ გამოწვევად რჩება შრომითი უფლებების პრაქტიკაში დაცვა და აღსრულება;
- დასაქმების ადგილზე უგულებელყოფილია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რის გამოც, სამუშო ადგილზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა სტატისტიკა კვლავ საგანგაშოა;
- განსაკუთრებით მძიმეა არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა უფლებები, რომლებიც არსებული საკანონმდებლო რეგულირების მიღმა არიან.

მიუხედავად იმისა, რომ შრომითი უფლებები საქართველოში მასიურად ირღვევა, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობის წინასაარჩევნო პროგრამები ამ საკითხს პრობლემად არ განიხილავს და, შესაბამისად, არც მისი გადაჭრის დაპირებას თუ ხედვას სთავაზობს ამომრჩევლებს.

შრომითი უფლებების დაცვაზე პოლიტიკური პარტიები ან საერთოდ არაფერს ამბობენ ან შემოიფარგლებიან ფრაგმენტული ინიციატივებით, რომელიც მხოლოდ ვიწრო ჯგუფებს ეხება. მაგალითად, „სტრატეგია აღმაშენებელი“ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ჰპირდება სოციალურ მუშაკებს[1] და იქვე მიუთითებს, რომ პირობების გაუმჯობესება პირდაპირ აისახება მათი ფუნქციების შესრულების ხარისხზე; „ქართული ოცნება“ კი განათლების პოლიტიკის ფარგლებში საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა და მასწავლებლების შრომითი ანაზღაურების ზრდაზე საუბრობს.[2] ამგვარი მიდგომა ცხადად აჩვენებს, რომ იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც პოლიტიკური პარტიები შრომის პოლიტიკას ეხებიან, შრომითი უფლებების კუთხით არსებულ სისტემურ პრობლემებს ვერ ხედავენ; უფლებების დაცვა და ღირსეული შრომის უზრუნველყოფა თავისთავად, დამოუკიდებელ მიზნად არ არის აღქმული და პოლიტიკური სპექტრი მას სხვადასხვა მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილავს. ამ თვალსაზრისით, განსახილველი საარჩევნო სუბიექტებიდან გამონაკლისს წარმოადგენს „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“. აღნიშნული პარტია ამომრჩევლებს ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფას ჰპირდება და მინიმალური ხელფასის

---

[1] „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა“, ხელმისაწვდომია: shorturl.at/aepB0.

[2] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/GD_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

დაწესებასთან ერთად, ზეგანაკვეთური შრომის და ღამის შრომის გაზრდილი ტარიფით ანაზღაურების პირობას დებს.

ნიშანდობლივია, რომ „ევროპული საქართველო“ დასაქმებულებს შრომითი უფლებების დაცვას ჰპირდება ევროკავშირში დასაქმების შემთხვევაში. კერძოდ, პარტიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ევროკავშირში ლეგალური დასაქმების ხელშეწყობა, რათა იქ დასაქმებულ ემიგრანტების შრომითი უფლებები დაცული იყოს და ჰქონდეთ სამედიცინო დაზღვევა.[3] აღნიშნული პარტიის საარჩევნო პროგრამა არაფერს ამბობს მშრომელთა უფლებების დაცვაზე საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მასიურად ირღვევა შრომის უსაფრთხოების ნორმები და სამუშაო ადგილას დაშავებულთა და დაღუპულთა სტატისტიკა კვლავ საგანგაშოა,[4] პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა არაფერს ამბობს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებებზე. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისია ქართული ოცნება და ლეიბორისტული პარტია, თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება და აღნიშნავს, რომ შრომის უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების დანერგვა მოხდება.[5] არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ კერძოდ რა პოლიტიკისა და ზომების შემუშავებით განხორციელდება აღნიშნული სტანდარტების დანერგვა. მმართველი პარტია შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოსახლეობას შრომის ინსპექციის მანდატის გაზრდას და სსიპ "შრომის ინსპექციის სამსახურის" შექმნას პირდება.[6] აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც, სხვა ცვლილებებთან ერთად, შრომის ინსპექციის მანდატის გაფართოებას ითვალისწინებს, საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო.

ასევე, უგულებელყოფილია ქალთა დასაქმების კუთხით არსებული გამოწვევები, თუ არ ჩავთვლით „ლელო საქართველოსთვის“ და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამას, რომლებიც ქალთა მონაწილეობის გაზრდაზე,[7] ეკონომიკურ გაძლიერებაზე, სოფლად მცხოვრები ქალების დასაქმებაზე და შრომის ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე აკეთებს აქცენტს.[8]

---

[3] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/EG_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

[4] იხილეთ, მაგალითად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიში, გვ, 21. ხელმისაწვდომია: https://moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/LCID_Geo_a4_1.pdf.

[5] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: ttps://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/Labour_Party_questionnaire_www.partiebi.ge_GEO.pdf.

[6] ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა, "ჯანდაცვა", ხელმისაწვდომია: http://gd.ge/file/health/#p=1.

[7] ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა, ხელმისაწვდომია: http://gd.ge/Programs-2020.

[8] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/Lelo_for_Georgia_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

ქართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები ბიზნესისთვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის შესახებ გაკეთებული დაპირებების კონტექსტში ამავე ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაზე არაფერს ამბობს. არსებული პოლიტიკური ველის ზოგად ხედვებზე ისიც მიუთითებს, რომ დეკლარირებულად მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიაც კი აპელირებს არა ღირსეული დასაქმების უზრუნველყოფაზე, არამედ მსხვილი ინვესტორებისთვის შეღავათების დაწესებაზე და მათ „თავისუფალ ფუნქციონირებაზე."[9]

განსახილველი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების შესწავლამ აჩვენა, რომ შრომითი უფლებების დაცვა და ღირსეული შრომის უზრუნველყოფა, სამწუხაროდ, ერთეული გამონაკლისების გარდა, ქართული პოლიტიკური ველის დღის წესრიგში არ არის და შესაბამისად, ამ მიმართულებით პარტიების ხედვის სიღრმისეული შეფასება შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა უგულებელყოფს იმ მოცემულობას, რომ ინვესტიციებისთვის უსაფრთხო და სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია დაცული იქნას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები. ამასთან, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება ის გამოწვევები, რაც შრომითი უფლებების ეფექტიან აღსრულებასა და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა მძიმე სამუშაო პირობებს უკავშირდება.

II. სოციალური დაცვა

ძირითადი გამოწვევები:

- მინიმალური ხელფასისა და უმუშევრობის კომპენსაციის არ არსებობა მშრომელებს მათი სოციალური დაცულობის ფუნდამენტური ბერკეტების გარეშე ტოვებს.
- საარსებო შემწეობის არსებული სისტემა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საჭიროებებს სრულად არ ფარავს, ხოლო 'ქულების სისტემა' გაუმჭირვალე და მოუქნელია.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, პარტიების პროგრამაში თვალსაჩინოა სოციალური უსაფრთხოების მიმართ არსებული ზედაპირული ან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება. პარტიების წინასაარჩევნო შეთავაზება არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გადააზრებასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემურ ცვლილებას ეხება - რაც სოციალური უსაფრთხოების დღევანდელ სისტემას ესაჭიროება - არამედ ფრაგმენტულ

[9] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/Labour_Party_questionnaire_www.partiebi.ge_GEO.pdf.

ჩარევებს გულისხმობს. ეს ფრაგმენტული ჩარევები მეტწილად საპენსიო სისტემის შეცვლას და სოციალური დახმარების სისტემის ნაწილობრივ რეფორმირებას გულისხმობს.

პარტიების უმრავლესობა სოციალური დახმარების სისტემის რეფორმირების აუცილებლობას აღიარებს. პრობლემებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა პარტიები ასახელებენ, ძირითადია სოციალური შემწეობის არსებული სისტემის არაეფექტურობა, ("სტრატეგია აღმაშენებელი", "ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები") ან სულაც კონტრ-პროდუქტიულობა ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") ქრონიკული სიღარიბის ფონზე. ბენეფიციარები სოციალურ დახმარებას ხშირად თუნდაც მინიმალური, დროებითი ან სულაც ერთჯერადი შემოსავლის დაფიქსირების შემთხვევაში კარგავენ. შედეგად, საარსებო შემწეობის დაკარგვის რისკის გამო მათ ფორმალურ დასაქმებაზე უარის თქმა უწევთ იმ შემთხვევაში თუ სტაბილური შემოსავლის გარანტია არ აქვთ - ასეთი გარანტია კი იშვიათია. საპასუხოდ პარტიები დროებითი ან ერთჯერადი შემოსავლის დაფიქსირების შემთხვევაში ბენეფიციარებს შემწეობის შენარჩუნებას ჰპირდებიან. პრობლემებს შორის ასახელებენ პროგრამაში მოხვედრის რთულ და გაუმჭირვალე პროცედურებსაც ("ლელო").

სოციალური დახმარების არსებული სისტემის კრიტიკისას მეორდება შეფასების სისტემაში არსებული "სუბიექტური ფაქტორების არსებობა." პარტიები პასუხობენ სოციალური შემწეობის მიმღებთა ნეგატიურ გამოცდილებას საჭიროებების შეფასების არსებულ სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ოჯახების ქულების სისტემის მიხედვით კატეგორიზებას ეფუძნება. თუმცა, საარჩევნო სუბიექტები არ აკონკრეტებენ რა ალტერნატიული შეფასების სისტემის დანერგვას მოიაზრებენ არსებულის რეფორმის ფარგლებში. "ობიექტურ" კრიტერიუმებზე დაყრდნობა თავისთავად ალტერნატივად ვერ ჩაითვლება, რადგან მსგავსი მიზანი არსებულ სისტემასაც აქვს. პრობლემის გამოკვეთა მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია "ობიექტური შეფასების" პრაქტიკული განხორციელების შეთავაზებაც. საგულისხმოა, რომ სოციალური დახმარების სისტემის რეფორმირება მმართველი პარტიის საარჩევნო პროგრამის ნაწილი არ არის. მმართველი პარტიის შეთავაზება არსებული შემწეობის სისტემის "დახვეწით" და მიზნობრიობის გაზრდით შემოიფარგლება.

ამომრჩეველს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაფართოებას და საარსებო შემწეობის გაზრდას პირდებიან ის პარტიებიც (ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო), ვინც, ამავდროულად, გადასახადების შემცირებას და "მცირე სახელმწიფოს" ადვოკატირებენ. რამდენიმე პარტიის პროგრამაში მეორდება სახელმწიფო დანახარჯების შემცირების და, საყოველთაოს ნაცვლად, მეტი მიზნობრივი პროგრამების დანერგვის შეთავაზება. ეს დაპირებები წინააღმდეგობრივია იმ ფონზე, რომ ადამიანური რესურსების ნაკლებობა და ამ სფეროში დასაქმებულთა დაბალი ხელფასები სოციალური პროგრამების ეფექტური და საჭიროებებთან შესაბამისი ადმინისტრირების ერთერთი ძირითადი პრობლემაა. მაგალითად, სოცმუშაკებს ხშირად ბენეფიციართა საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო

რაოდენობის დაფარვა ევალებათ, თანაც იმ პირობებში, რომ სამსახურეობრივი მოვალეობისთვის აუცილებელი სატრანსპორტო ხარჯების დაფარვა საკუთარი ხელფასიდან უწევთ. ამ გარემოებების გათვალისწინებით ხარჯებისა და კადრების შემცირებაზე ყურადღების გამახვილება დარგში არსებულ პრობლემებში გაუთვითცნობიერებაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიების დიდი ნაწილი სოციალური კრიზისის დაძლევის გზად უმუშევრობის შემცირებას მოიაზრებს, პარტიების პროგრამებში იშვიათი და ზედაპირულია გეგმები დასაქმების ხელმშემწყობი ინსტრუმენტების ჩამოყალიბების მიმართულებით. ეს მიმართულება, როგორც წესი, პროფესიული განათლებისა და რეკვალიფიკაციის პროგრამებით შემოიფარგლება და არ ითვალისწინებს შრომის ბაზარზე არსებულ პოლარიზაციასა და არაფორმალური დასაქმების მაღალ წილს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 75% მინიმალური ხელფასის დადგენას ემხრობა, საარჩევნო სუბიექტთა შორის ამ ინიციატივას მხარს მხოლოდ ორი პარტია უჭერს. ერთი მათგანი, "ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი" მინიმალური ხელფასის საშუალოს ხელფასის 45%-ით განსაზღვრას გულისხმობს, ხოლო "ლეიბორისტები" ამომრჩეველს მინიმალური ხელფასის 520 ლარით განსაზღვრას სთავაზობენ, რაც "სოლიდარობის ალიანსის" წინადადებას დიდწილად ემთხვევა.

ამ ორი პარტიის პროგრამაში გვხვდება წინადადება უმუშევრობის შემწეობის შემოღების შესახებაც. "სოლიდარობის ალიანსის" რეფორმის მიხედვით, უმუშევრად დარჩენილებს პირველი სამი თვის განმავლობაში ხელფასის 70% შეუნარჩუნდებათ, ხოლო მომდევნო სამი თვის მანძილზე ხელფასის 50%. "ლეიბორისტული პარტია" უმუშევრობის შემწეობის კონკრეტულ სქემას არ გვთავაზობს. მინიმალური ხელფასის დაწესება და უმუშევრობის შემწეობის სისტემის დანერგვა საქართველოში მშრომელთა მდგომარეობის გამოსასწორებლად გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯებია, თუმცა, იმ ფონზე, რომ დანარჩენი პარტიები ამ წინადადებას არ იზიარებენ, ხოლო პარლამენტში მსგავსი ინიციატივები რამდენჯერმე ჩავარდა, ამ რეფორმების გატარება მომავალი მოწვევის პარლამენტშიც ნაკლებად სავარაუდოა.

სოციალური უსაფრთხოების კუთხით პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში ყველაზე დიდ ნაწილს კვლავ პენსიის საკითხი იკავებს. ყველა პარტია ამომრჩეველს პენსიის ზრდას სთავაზობს, თუმცა იკვეთება აზრთა სხვადასხვაობა საპენსიო სისტემების გარშემო. პროგრამებში გვხვდება წინადადებები არსებული დაგროვებითი პენსიის ნებაყოფლობითით ჩანაცვლების, ან სულაც მისი გაუქმების შესახებ. რამდენიმე პარტია მოიაზრებს სრულიად განსხვავებულ საპენსიო სისტემაზე გადასვლასაც. საპენსიო თემატიკის ცენტრალურობა საარჩევნო სუბიექტთა პროგრამაში ამ საკითხის მნიშვნელობაზე მიუთითებს. პენსია საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუციად რჩება,

ხანდაზმული მოსახლეობა კი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია ქვეყანაში. შემოთავაზებული სისტემების მრავალფეროვნება იმის მანიშნებელია, რომ არსებულ საპენსიო სისტემას პოლიტიკურ სუბიექტთა უმრავლესობა მდგრადად არ მიიჩნევს.

III. მწვანე პოლიტიკა

ეკოლოგიური მდგომარეობა ინდუსტრიულ ქალაქებში

ძირითადი გამოწვევები:

- ბუნებრივი რესურსების მოპოვება და სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მასშტაბური და გაუმართლებელი ზემოქმედების ხარჯზე;
- სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სამეწარმეო სუბიექტებისთვის სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრებას გარემოზე მიყენებული ზიანის შემთხვევაში.

მრეწველობის სხვადასხვა დარგები სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს და ინდუსტრიულ ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობას. ამ კუთხით საგანგაშო მდგომარეობაა, მათ შორის, რუსთავში,[10] ჭიათურასა[11] და ტყიბულში,[12] სადაც სამთო-მოპოვებითი თუ გადამამუშავებელი ინდუსტრიების მიერ მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბი განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები მხოლოდ ზოგადად ეხება გარემოს დაბინძურების მაჩვენებლებს და არ საუბრობს იმ განსაკუთრებით მძიმე ზიანზე, რაც ჩამოთვლილ ქალაქებს გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევით წარმოებულმა

---

[10] EMC რუსთავში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიას ეხმაურება, 16 ივლისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/emc-rustavshi-haeris-dabindzurebis-tsinaaghmdeg-mimdinare-kampanias-ekhmaureba.

[11] EMC, მწვანე ალტერნატივა და საია შუქრუთსა და ითხვისში არსებულ კრიზისს ეხმიანებიან, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/emc-mtsvane-alternativa-da-saia-shukrutsa-da-itkhvisshi-arsebul-kriziss-ekhmianebian.

[12] ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოდან ქვანახშირის მოპოვებასთან დაკავშირებული გეოეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოკლე ანალიზი, CENN, 2015, ხელმისაწვდომია: http://environment.cenn.org/app/uploads/2016/10/123.pdf.

სამრეწველო საქმიანობამ მოუტანა. ინდუსტრიულ ქალაქებში არსებულ მძიმე მდგომარეობას მოკლედ ეხება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსის საარჩევნო პროგრამა“, სადაც ნათქვამია, რომ პარტიის ხედვა წიაღისეულის მოპოვებაზე სალიცენზიო ნებართვების გაცემის გამკაცრებას გულისხმობს. „ქართული ოცნება“ ყურადღებას ამახვილებს საწარმოების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებაზე, მათ შორის, გაფრქვევების ფილტრაციისა და თვითმონიტორინგის სადგურებით აღჭურვის გზით.[13] სხვა შემთხვევებში პოლიტიკური პარტიები შემოიფარგლებიან ისეთი ზოგადი თეზისებით, როგორიცაა ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა („ევროპული საქართველო“),[14] ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)[15], ურბანულ სივრცეებში ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებლის შემცირება („ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“).[16] ამ მიმართულებით, შედარებით მეტ კონკრეტიკას შეიცავს „სტრატეგია აღმაშენებელი“-ს საარჩევნო პროგრამა, რომელსაც მაგალითად მოჰყავს RMG Gold-ის საქმიანობის შედეგად დაბინძურებული 21 სოფელი ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში და იქვე აღნიშნავს, რომ საჭიროდ მიაჩნიათ შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც გარემოს აბინძურებენ.[17]

ამასთან, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პოლიტიკური პარტიები შედარებით დეტალურად საუბრობენ გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პარტიის ხედვა შემოიფარგლება ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების საჭიროებით, ხოლო თუ რა კონკრეტული რეგულაციები უნდა იქნას შემოღებული და არსებითად რა უნდა შეიცვალოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებიდან არ იკვეთება. მაგალითისთვის, ლეიბორისტული პარტიის დაპირება ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დამაბინძურებელი საწარმოებისთვის მათ საქმიანობაში ევროპული სტანდარტების დასანერგად დროში მკაცრად გაწერილი პროგრამის შემუშავებას გულისხმობს.[18] „ლელო - საქართველოსთვის“ აზრით კი, საჭიროა მდგრადი განვითარების

---

[13] ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა, “გარემოს დაცვა”, ხელმისაწვდომია: http://gd.ge/file/envprotection/#p=4.

[14] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/EG_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

[15] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/UNM_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

[16] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/The_Citizens_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

[17] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/Strategy_Aghmashenebeli_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

[18] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/Labour_Party_questionnaire_www.partiebi.ge_GEO.pdf.

პრინციპებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარება ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციით ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან.[19]

თავის მხრივ, „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი," მოსახლეობას, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის თანხმლები უარყოფითი გარემოსდაცვითი ზეგავლენითაა დაზარებული, კერძო სექტორისთვის მეტი თავისუფლების მინიჭებასა და კერძო საკუთრების დაცვას პირდება, ისევე როგორც „არაფრის მომცემი, უაზრო რეგულირებების და აკრძალვების გაუქმებას, რომლებიც ვითომ გარემოს იცავს."[20]

ამდენად, საარჩევნო პროგრამების შინაარსი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური პარტიები ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე საუბრობენ მხოლოდ ზოგად ჭრილში და თითქმის არც ერთ პარტიას არ აქვს გააზრებული ინდუსტრიული საქმიანობით განსაკუთრებით დაზარებულ ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის უმწვავესი საჭიროებები, ისევე როგორც სამრეწველო საქმიანობით მიყენებული ზიანის შემსუბუქების უზრუნველყოფისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში სამეწარმეო სუბიექტების პასუხისმგებლობის გამკაცრების აუცილებლობა.

ჰიდროენერგეტიკა (ჰესები)

ძირითადი გამოწვევები:

- ჰიდროენერგეტიკული რესურსების არსებული, აგრესიული ათვისების პოლიტიკა ეწინააღმდეგება ბუნებრივი რესურსების მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიული მართვის პრინციპებს.
- ჰიდროენერგეტიკული პროექტები იგეგმება მოსახლეობის აქტიური ჩართულობის გარეშე, გაუმჭირვალე შეთანხმებების ფონზე.

გარემოს დაცვის ნაწილში პარტიების პროგრამაში მეორდება დიდი ჰესების თემა, რაც ამ საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების და წინააღმდეგობის მოძრაობების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ეს საკითხი ქართული მწვანე მოძრაობისთვის, მისი გაჩენის დღიდან ცენტრალურია. მიუხედავად იმისა, რომ დაპირებები დარგის მოწესრიგებისა და კონკრეტული პროექტების გარშემო მიმდინარე კონფლიქტების განმუხტვის შესახებ წინასაარჩევნო დისკუსიების განუყოფელ ნაწილად იქცა, სისტემური ცვლილებები ჯერაც არ

---

[19] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/geoversion/Lelo_for_Georgia_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

[20] ვრცლად პოლიტიკური პარტიის ხედვის შესახებ იხილეთ: https://partiebi.ge/2020/uploads/pdf/Girchi_questionnaire_www.partiebi.ge_2020_GEO.pdf.

ხორციელდება, ახალი ჰესები კი -მათ შორის მცირე და საშუალო ზომის პროექტები - უკმაყოფილების და დაპირისპირების მიზეზი ხშირად ხდება.

ცხადია, ჰიდროენერგეტიკული რესურსების მართვა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების ხედვასა და ზოგად ეკონომიკურ პოლიტიკას, ისევე როგორც დემოკრატიულობისა და ჩართულობის პრინციპებს. თუმცა პარტიების პროგრამებში ჰესების საკითხი განყენებულ პოზიციას იკავებს, ხოლო კავშირები მათ დარგობრივ მიდგომასა და ზოგად განვითარების პოლიტიკას შორის ბუნდოვანია. ამ კავშირების გარეშე პარტიების ჰიდროენერგეტიკული პროგრამები სრულყოფილად ვერ ჩაითვლება.

ჰესების საკითხზე პარტიები ამომრჩეველს ადგილობრივი პრაქტიკების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას სთავაზობენ. მაგალითად, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წერს, რომ "ჰესების მშენებლობა [უნდა განხორციელდეს] უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში და მხოლოდ საერთაშორისო კვალიფიციური დასკვნის საფუძველზე." მსგავსია "ლელოს" დაპირებაც - "ჰესების მშენებლობა მხოლოდ ევროპული სტანდარტების მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობით." საერთაშორისო გამოცდილება ჰიდროენერგეტიკული რესურსების მართვის მიმართულებით მრავალფეროვანია და სხვადასხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით რადიკალურად განსხვავებული მიდგომები გვხვდება. ამ ფონზე და დაკონკრეტების გარეშე, ბუნდოვანია კონკრეტულად რას შეიძლება ნიშნავდეს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და პარტიების მხრიდან საკითხზე პრინციპული სტრატეგიული ხედვის ნაკლებობაზე მიუთითებს.

ერთი პარტია, "ლეიბორისტები" ამომრჩეველს დიდი ჰესების "საკანონმდებლო დონეზე აკრძალვას" სთავაზობს.

პარტიების დიდი ნაწილი, მაგალითად, "ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები" და "ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი" ხაზს უსვამენ განახლებადი ენერგორესურსების მხარდაჭერას. ამ უკანასკნელის ინიციატივებს შორის ვკითხულობთ, რომ "მეგა პროექტების პარალელურად მოხდება მცირე ენერგეტიკული პროექტების განვითარება, რაც დროშიც სწრაფია და გარემოზე ნაკლებ გავლენას ახდენს." ამ პარტიის პროგრამა შეიცავს ინიციატივას მცირე ჰესების საპენსიო ფონდიდან და ეკონომიკური განვითარების ბანკიდან დაფინანსებაზეც.

ქართული ოცნება, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლისას ხშირად და მკვეთრად ნეგატიურად საუბრობდა დიდი ჰესების შესახებ, დღეს გარემოს დაცვის ნაწილში ამ საკითხზე არ საუბრობს, ჰესების მშენებლობა კი კვლავ ფორსირებულ რეჟიმში გრძელდება.

ცხადია, ჰიდროენერგეტიკული რესურსების მართვა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების ხედვასა და ზოგად ეკონომიკურ პოლიტიკას, ისევე როგორც

დემოკრატიულობისა და ჩართულობის პრინციპებს. მათ გარეშე პარტიული პროგრამების ხედვა საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილად ვერ ჩაითვლება.

IV. საცხოვრებლის უფლება

ძირითადი გამოწვევები:

- საცხოვრისის ერთიანი პოლიტიკის, უსახლკარობასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა და გამოწვევების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დაძლევის ფრაგმენტული მცდელობები;
- უსახლკარობის მასშტაბის, უსახლკარობის გამომწვევი სისტემური მიზეზებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის არარსებობა;
- სათანადო საცხოვრებლის უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის ხარვეზიანობა;
- საცხოვრისის სერვისების ხარვეზიანობა და არასაკმარისობა.
- გამოსახლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ხარვეზები.

მთელი რიგი ჯგუფებისათვის სათანადო საცხოვრისის გარანტირების საჭიროების მიუხედავად, შესწავლილი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების უმრავლესობა, გამონაკლისის გარდა („ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“), ნაკლებად მოიცავს არსებული გამოწვევების დაძლევის, მათ შორის, უსახლკარობის პრევენციისა და აღმოფხვრის კონკრეტულ ხედვებს.
პარტიების პროგრამების უმრავლესობა საცხოვრისით უზრუნველყოფის ვალდებულებას ძირითადად დევნილთა მიმართ ხედავს და ნაკლებად ეხება სხვა, სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით, უსახლკაროდ დარჩენილ თუ ამ საფრთხის წინაშე მყოფ პირთა საჭიროებებს. ცალკეული პოლიტიკური პარტიების (მაგ. „სტრატეგია აღმაშენებელი“[21]) გეგმები დევნილთა შემთხვევაშიც კი არ მოიცავს საცხოვრისით უზრუნველყოფის ნათელ გეგმასა და მიზნების მიღწევის კონკრეტულ გზებს. დანარჩენი პარტიები („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“,[22] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,[23] „ლელო“,[24] „ევროპული საქართველო“,[25]„გირჩი“,[26] „მოქალაქეები“[27]) დევნილების წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის შედარებით კონკრეტულ გეგმებს გვთავაზობს, სახლების მშენებლობის, გარემონტების, ყიდვის, ფართების საკუთრებაში დარეგისტრირების და სხვა გზებით.

---

[21] https://bit.ly/34crhYj.
[22] https://bit.ly/3mlVhY2.
[23] https://bit.ly/31ovFSm.
[24] https://bit.ly/2HeKQGu.
[25] https://bit.ly/34cyAiT.
[26] https://bit.ly/3m35GYo.
[27] https://bit.ly/3kh3Pif.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი არ საუბრობს სხვა უსახლკარო ჯგუფებსა და მათი გაძლიერების კონკრეტულ ხერხებზე. საერთოდ არ გვხვდება უსახლკარობის პრევენციის შესახებ ხედვა, ხოლო რეაგირებითი ღონისძიებების (საცხოვრისის სერვისების უზრუნველყოფის) კუთხით პარტიების ხედვები სუსტი და ფრაგმენტულია. ცალკეულ შემთხვევებში, წინასაარჩევნო პროგრამები შემოიფარგლება კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის (პენსიონერებისთვის), სპეციალიზებული საცხოვრისის სერვისების შექმნის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“[28]) ან რაიმე კონკრეტული გეგმის გარეშე სხვადასხვა ჯგუფისთვის (ბავშვები, ახალგაზრდა ოჯახები) ბინით უზრუნველყოფის („ლელო“[29]) დაპირებით.

მეორე მხრივ, უსახლკაროებისთვის არასპეციალიზებული საცხოვრისის სერვისის - ბინის ქირისა და მცირე ზომის საცხოვრისებით უზრუნველყოფაზე საუბრობს „სტრატეგია აღმაშენებელი“.[30] თუმცა, ამ შემთხვევაშიც პროგრამა ზოგადია - იგი არ ითვალისწინებს საცხოვრისის სხვა ტიპის სერვისების განვითარების იდეებს, არ მიუთითებს იმაზე, თუ ვინ ჩაითვლება სერვისის მიმღებ უსახლკარო ჯგუფებად და არ აქვს წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელების მასშტაბი.

სხვა პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“ ცალკე, მსხვილ პრიორიტეტად გამოყოფს უსახლკარობის დაძლევის საკითხს. პარტიის ხედვით, საბინაო ფონდი მოქმედი საპენსიო ფონდის საფუძველზე უნდა შეიქმნას და მიზნად ხელმისაწვდომ და სოციალურ ბინათმშენებლობასა და სტუდენტური საერთო საცხოვრისების განვითარებას უნდა ისახავდეს. საბინაო პოლიტიკის ფორმირებასთან ერთად, მხოლოდ აღნიშნული პარტია საუბრობს გამოსახლების საკითხებზე და იძლევა ოჯახების უკანასკნელი საცხოვრებლიდან გამოსახლების აკრძალვის დაპირებას.

V. შშმ პირთა უფლებები

ძირითადი გამოწვევები:

- გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობა;
- სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლის ნელი პროცესი;
- ქმედუნარიანობის რეფორმის პრაქტიკაში განუხორციელებლობა;

[28] https://bit.ly/3kgRYAL.
[29] https://bit.ly/2HeKQGu; https://bit.ly/37h25Sy.
[30] https://bit.ly/3lUhSL8.

- შშმ პირთა ინსტიტუციონალიზაციის პრაქტიკა;
- თემის საჭიროებებზე მორგებული სერვისების სიმწირე/არარსებობა.

ხშირ შემთხვევაში, პარტიების გეგმები ზედაპირულია და მხოლოდ ფრაგმენტულად პასუხობს არსებულ გამოწვევებს. არც ერთი მათგანი კონკრეტულად არ საუბრობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაცია, გაეროს კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური ჩარჩოს ამუშავება და სტატისტიკის გამართვა. ამასთან, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა უფლებების დაცვაზე არაფერს ამბობს „გირჩი“ და „მოქალაქეები“.

თემატიკისადმი არაკომპლექსური დამოკიდებულება კარგად ჩანს, მაგალითად იმით, რომ **მისაწვდომობის** კონცეფციაზე მსჯელობისას პარტიები („ლეიბორისტული პარტია“,[31] „სტრატეგია აღმაშენებელი“,[32] „ნაციონალური მოძრაობა“,[33] „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „ლელო“,[34]„ევროპული საქართველო“,[35] „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“[36]) *მხოლოდ ერთ* რომელიმე სფეროში (მაგ. სერვისები, ინფორმაცია) ადაპტირების განხორციელებას მიიჩნევენ პრიორიტეტულად.

მხოლოდ ორი პარტიის („ლელო“, „ევროპული საქართველო“) პროგრამა, ისიც ზოგადად, ეხება **სოციალური მოდელის** დანერგვასა და განხორციელებას. ამასთან, ნათელია, რომ ამ პროცესმა შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და **სოციალური დაცვის სისტემის** ტრანსფორმაცია უნდა გამოიწვიოს, მათ შორის, სოციალური პაკეტის მიწოდებისა თუ შეღავათების დაწესების ნაწილში. ნაცვლად ამისა, პროგრამები ბლანკეტურად ითვალისწინებს შშმ პირთა „შემწეობის“ თუ სოციალური პაკეტის გაზრდას („ევროპული საქართველო“, „ქართული ოცნება“), შშმ პირებისა და მათი ოჯახის გარკვეული ტიპის შემოსავლის გადასახადებისგან გათავისუფლებას („სტრატეგია აღმაშენებელი“,[37] „ლელო“) ან არსებული სოციალური შემწეობის სისტემის უფრო მეტ შშმ პირზე გავრცელებას („ნაციონალური მოძრაობა“).

სხვა ტიპის **სერვისებზე** საუბრისას, პარტიებს უმეტესწილად ფრაგმენტული ხედვები გააჩნიათ და, შშმ პირთა საჭიროებების მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთ ან რამდენიმე სერვისზე - მაგალითად, შშმ ბავშვების ოკუპაციურ თერაპიაზე („ნაციონალური მოძრაობა“) თუ დღის ცენტრებზე („ლელო“, „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“) - არიან ორიენტირებულნი. მეორე, მხრივ, ცალკეული პარტიები („ევროპული საქართველო“, „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“) ითვალისწინებენ რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღნიშნულ სერვისებთან ერთად, შშმ პირის ოჯახის გაძლიერების

---

[31] https://bit.ly/37oxmTI.
[32] https://bit.ly/31lC6p8.
[33] https://bit.ly/3jd67h7.
[34] https://bit.ly/349ZGHf; https://bit.ly/2T8TZD9.
[35] https://bit.ly/3kdPYZT.
[36] https://bit.ly/31O2lox.
[37] პარტიის პროგრამა ახსენებს შშმ პირთა მეურვეების საჭიროებებს, მაშინ, როდესაც ქმედუნარიანობის რეფორმის შედეგად ეს ტერმინი ამ ჯგუფის წარმომადგენლებთან მიმართებით აღარ არსებობს.

ელემენტებს ითვალისწინებს ცალკეული პარტიების („ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „ლელო“) პროგრამები.

მიუხედავად **ჯანდაცვის სფეროში** არსებული მრავალფეროვანი გამოწვევებისა, პარტიების პროგრამები („ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“) ძირითადად მხოლოდ სამედიცინო დაზღვევაზე საუბრობენ. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, რომელიც ხარისხიანი საყოველთაო ჯანდაცვისა და სერვისების ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას, „ქართული ოცნება“, რომელიც საუბრობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაგრძელებაზე და „ლელო“, რომლის პროგრამაც ითვალისწინებს გენდერულად მგრძნობიარე სამედიცინო მომსახურების შექმნას შშმ ქალებისა და გოგონებისთვის. რაც შეეხება **ფსიქიკური ჯანმრთელობის** საკითხებს, მასზე ოთხი პარტიის („ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ევროპული საქართველო“) პროგრამა საუბრობს. მათი უმეტესობა არ აფიქსირებს ხედვას კონკრეტული სერვისების შექმნასთან/განვითარებასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, „ევროპული საქართველოს“ პროგრამა დეინსტიტუციონალიზაციის საკითხს ეხება და საუბრობს ფინანსების ადეკვატურად გამოყოფის, თემთან დიალოგის, არსებული სტერეოტიპების დაძლევის მნიშვნელობაზე, თუმცა არ წარმოადგენს კონკრეტულ გეგმებს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავებისა თუ უშუალოდ პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით; მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ პროგრამა საუბრობს მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების (და არა მაგალითად, შშმ პირთა პანსიონატების) დეინსტიტუციონალიზაციაზე, საოჯახო საცხოვრისებისა და თავშესაფრის სერვისების გაფართოებასა და სერვისების მიმწოდებელი პერსონალის გადამზადებაზე.

შშმ პირთა **განათლებისა და დასაქმების** სფეროში არსებული ხედვები ასევე არასისტემურია. შესწავლილი პარტიების არც ერთი პროგრამა არ მოიცავს გეგმებს ინკლუზიური უმაღლესი განათლების შესახებ. სკოლამდელი ან/და ზოგადი განათლების საფეხურების მისაწვდომობაზე საუბრობს „ქართული ოცნება“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“, ისიც კონკრეტული გეგმების მითითების გარეშე. მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია შშმ პირების პროფესიული გადამზადებისა და დუალური განათლების პროცესებში ჩართვის მიმართულებაც. რაც შეეხება დასაქმებას, ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მაგალითისთვის, „ევროპული საქართველო“ ხაზს უსვამს ამ ნაწილში ფიზიკური ბარიერების მოხსნის მნიშვნელობას, თუმცა, მიუხედავად ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა, ეწინააღმდეგება კვოტირების სისტემის დანერგვას. მეორე მხრივ, ამ სფეროში ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების იდეას ატარებს „ქართული ოცნების“, „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსისა“ და „ლელოს“ პროგრამები.

[1] მაგალითად იხ. https://bit.ly/35hOxn0; https://bit.ly/34cJzJe; https://bit.ly/3o9wgRo.

[2] https://bit.ly/2IKJvIh.

[3] https://bit.ly/34crhYj.

[4] https://bit.ly/31ovFSm.

[5] https://bit.ly/2HeKQGu.

[6] https://bit.ly/34cyAiT.

[7] https://bit.ly/34cyAiT.

[8] https://bit.ly/3m35GYo.

[9] https://bit.ly/3kh3Pif.

[10] https://bit.ly/3kgRYAL.

[11] https://bit.ly/2HeKQGu.

[12] https://bit.ly/2HeKQGu; https://bit.ly/37h25Sy.

[13] https://bit.ly/3lUhSL8.

[14] პარტიის პროგრამის მიხედვით, აღნიშნული ოჯახები საკუთრებაში მიიღებენ საცხოვრისს ან ფულად კომპენსაციას 2023 წლამდე.

[15] https://bit.ly/37oxmTI.

[16] https://bit.ly/31lC6p8.

[17] https://bit.ly/3jd67h7.

[18] https://bit.ly/3kdPYZT.

[19] https://bit.ly/349ZGHf; https://bit.ly/2T8TZD9.